



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარკობაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე

მარკობაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე (5. XII. 1927, თელავი, 14. VII. 1973, თბილისი), არქიტექტორი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო ფაკ-ტი არქიტ. სპეციალობით (1949). ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა არქიტექტორად სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში, მ. შ. „საქგიპრომახტში“, „საქქალაქმშენსახპროექტში“. ძირითადი ნამუშევრები: საცხოვრ. სახლები თბილისში (1952–58), საბაგირო გზის ქვედა და ზედა სადგურები კუს ტბაზე (1962), ჰიდროელექტროსადგურის შენობა მდ. ჩორდაზე (1954), საცხოვრ. სახლები ტყიბულსა და მახარაძეში (ახლანდ. ოზურგეთი; 1954–57, არქიტ. გ. გობალიშვილთან ერთად), ახალი ათონის გამოქვაბულის კომპლექსი (1976, ავტორთა ჯგუფთან ერთად – სსრკ სახელმწ. პრემია), 280-ადგილიანი ტურბაბა ვარძიაში (1978).
